საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

№ 195
1877

ივერია

№ 195
1903

სეკტემბერი 13, შაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სეკტემბერი 13, შაბათი 1903 წ.

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, პირველ აგვისტოდგან „ივერია“ აღარ ეგზავნება.

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულოს დადგენილების თანახმად, კვირას, 14 სეკდემბერს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, წირვის შემდეგ, გარდახდილ იქმნება პარაკლისი, რათა მის იმპერატორებითს უმაღლესობას, დიდს მთავარს

მიხეილ ნიკოლოოზის ძეს

მიენიჭოს ავადმყოფობისაგან განკურნება და ჯანმრთელობა.

წირვა დაიწყება დილის 9½ საათზე.

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სახელოსნო სკოლა

დაიწყებს მოქმედებას 15 სეკდემბრიდგან. მიიღებენ შეგირდებს, ყოველგვარ საკერავს საცვლებს და ქალთა კაბებს შესაკრავად.

ვერა, ოლგის ქუჩა, სახლი ა. გაბაშვილისა, № 3 (Габаевскій переулокъ).

(5—უ—3)

გამოცდილი ქართველი მასწავლებელი ქალი, რომელმაც კარგად იცის რუსულ-ფრანგული ენა, ამზადებს ორთავე სქესის ბავშვებს ყველა სასწავლებლისათვის, ორ კლასამდე, ხელმისაწვდომ ფასად. იყვანს აგრეთვე შესანახადაც.

ადრესი: რეუტოვის ქუჩა, სახლი არღუთინსკისა № 6. იკითხეთ ეზოში მასწავლებელი ქალი. 10—6—4

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ

14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2,

დანიელ დეფოს

რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით.

162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების დაბარება შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ტ ფ ი ლ ი ს ი

დღეს საქართველოს ეკკლესია იხსენიებს წმ. მთავარ-მოწამე ქეთევან დედოფლის სახელს.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლთა დადგენილებით, ხვალ, 14 სეკდემბერს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, წირვის შემდეგ, პარაკლისი იქნება, რათა მის იმპერატორებითს უმაღლესობას, დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს ჯანმრთელობა მიანიჭოს ღმერთმა.

პეტერბურგიდან დეპეშით აცნობებენ გაზეთ „კავკაზს“, რომ ვიატკის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ოდოევი დაინიშნა საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურედ.

ბაქოდგან იმავე გაზეთს დეპეშით ატყობინებენ, რომ 10 სეკდემბერს ბიბი-ეიბათს ცეცხლი მოსდებია, გადამწვარა 30 ნავთის კოშკი, მრავალი საწყობი და აუზი. ცეცხლმოკიდებული ნავთი ზღვას შერევია და დიდი მანძილი ააპრიალა. მეორე დღესაც ცეცხლი მძვინვარებდა, აუზებში იწოდა 4 მილიონი ნავთი. ცეცხლი ისე გაძლიერდა, რომ სოფელ შიხოვომდე მიაღწია, რომელიც ბიბი-ეიბათიდგან ორის ვერსის სიშორეზეა. მრავალი ნავთსაყუდელი და იალქნიანი გემი გადამწვარა.

გუშინწინ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში კომისია ანაწილებდა იმ ფულს, რომელიც შემწეობად უნდა დაენიშნოს სხვა-და-სხვა სასწავლებლის ღარიბ შეგირდებს. კომისიამ შემწეობა დაუნიშნა შემდეგს ბავშვებს, რომლებიც სწავლობენ: ვაჟთა I-ლ კლასიკურ გიმნაზიაში: სოლომონ ლეონიძე, დავით ვაჩნაძე და გიორგი ქვლივიძე. ვაჟთა II გიმნაზიაში: არჩილ ჯორჯაძე, ადამ კალატოზიშვილი, დიმ. ჯაფარიძე, ანდრია გვარამაძე, ალექსანდრე მაჩაბელი, პეტრე ორჯონიკიძე, თომა ნაცვლიშვილი, ალექსანდრე კორინთელი, რევაზ ვაჩნაძე, გიორგი ვაჩნაძე და მიხეილ მირზაშვილი. ვაჟთა მე-III გიმნაზიაში: ბორის თარხანოვი, გიორგი შანშიევი, ევგენი ციციშვილი და ნიკო მაღალაშვილი. რეალურ სასწავლებელში: ილია აბაშიძე. ქალთა მეორე გიმნაზიაში: ვერა ჯაჯანაშვილი, ეკატერინე ყიფიანი, თამარ ლეონიძე, ეკატ. იორდანაშვილი, ნინა ჩოლოყაშვილი და მარ. კლიმიაშვილი. ქალთა მესამე გიმნაზიაში: თინათინ თულაშვილი, სოფიო ბაზიერაშვილი, ნადეჟდა ჯაფარიძე, ნინა როსტომაშვილი, აგრაფინა აბაშიძე და ანნა ყიფშიძე. სათავად-აზნაურო სასწავლებელში: სარდიონ ჯავახიშვილი, ელიზბარ ჯანდიერი, ლევან რაზიკაშვილი და რევაზ შალიკაშვილი.

ეს სია ჯერ დასრულებული ირ არის, რადგანაც კომისიას გუშინაცა ჰქონდა კრება სტიპენდიების გასანაწილებლად. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ეს დახმარება ღარიბ ბავშვებს ერთხანად მიეცათ, ერთის წლით, და არა სამუდამოდ. თუ მომავალ წელსაც თავად-აზნაურობას აღმოუჩნდა წყარო, საიდგანაც შესაძლო იქმნება ღარიბ მოსწავლეთ სტიპენდიები დაენიშნოს, მაშინ ახალი განაწილება უნდა მოხდეს და საფიქრებელია, რომ ზოგს იმათგანს ვეღარ ერგოს, ვისაც წელს ერგო.

ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: ყაზბეგის ქალთა სკოლის გამგეობა გულითადს მადლობას უცხადებს ბ-ნს სტეფანე ელიაძეს, რომელმაც მისდა რწმუნებულს სკოლას შემოსწირა 30 მ.; იმედია სხვებიც მიჰბაძავენ ბ-ნ ელიაძის მაგალითს და მით გაუადვილებენ გამგეობას, რომ პირნათლად გაუძღვეს ამ რთულს საქმეს.

ფინანსთა სამინისტრომ ნება მისცა აზოვ-დონის საკომერციო ბანკს დააარსოს თვისნი განყოფილებანი ფოთსა და ქუთაისში.

აჭარაში, სოფელ სმეკალოვკას, ვიღაც ბოროტგამზრახველთ გაუცარცვავთ ამ დღეებში იქაური ვაჭრის ტ. ურუშაძის დუქანი. წაუღიათ ფულად და საქონლით 700—800 მანეთამდე.

გუშინწინ დიდუბეში დოღი იყო, რომელსაც მთავარმართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, კავკასიის კავალერიის დივიზიის კომანდირი მისი იმპერატორებითი უმაღლესობა პრინცი ლუი-ნაპოლეონი, გენერლობა და მრავალი მაყურებელნი დაესწრნენ. პირველად გაიმარჯვა როტმისტრ რავიჩ-პევულსკის ცხენმა, რომელმაც 2 ვერსი 3 წუთს გაირბინა. საჩუქრად 300 მანეთი იყო დანიშნული. შემდეგ პორუჩიკ რილსკის ცხენმა გაიმარჯვა, რომელმაც 3 ვერსი 4 წუთს 37 წამსა და გაირბინა. საჩუქარი 400 მანეთი იყო. ბოლოს შტაბ-როტმისტრის მხეიძეს ცხენმა გაიმარჯვა, რომელმაც 2 ვერსტი 2 წამსა და 57 წუთს გაირბინა. საჩუქარი 300 მანეთი იყო.

კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტს ცნობები მოუთხოვია ერევნის გუბერნიისა და ყარსის ოლქის კომიტეტებისაგან, რამდენი ახალი მოსახლე ჩაწერილა ქალაქებისა თუ სოფლების საზოგადოებაში. ამ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ერევნის გუბერნიაში ჩაწერილა 6,656 და ყარსის ოლქში 18,132 სული. ესენი სულ სომხები არიან თურმე, ოსმალეთიდგან ლტოლვილნი. მომეტებული ნაწილი ქალაქის საზოგადოებას მისწერებია: ერევნისას—3,896, გუმბრისას—2,027, ნახიჩევანისას—696, ყარსს—10,082 და დაბა ყაღიზმანისას—5,594.

დიდუბესაც ღამის ეღირსოს ქალაქის გამგეობის მოწყალება: ქუჩებს აგებენ ქვითა. ჰკირწყლამენ. საზოგადოდ ამ განაპირა ადგილს წელს დიდი სიცოცხლე ეტყობა. მხოლოდ სახლის პატრონები უჩივიან მდგმურებსა: არას გვაძლევენ, თუ მოვსთხოვთ ქირას, აიკიდებენ ბარგს და გარბიან სხვაგანაო.

ამბობენ, ამ მოკლე დროში დიდუბეში ცხენის რკინის გზის გაყვანას შეუდგებიანო. ეს გზა გავა საბალოსნო სკოლის ორს ბაღს შუა, ელისაბედის ქუჩითა.

ტფილისის ქალაქის გამგეობას 13 არზა მიუღია პეტერბურგის დედათა საექიმო ინსტიტუტში მოსწავლე ქალებისა—ქალაქის სტიპენდია დაგვინიშნეთო. რადგანაც მხოლოდ ორი სტიპენდია არის თავისუფალი, კენჭი უყარეს მთხოვნელთ და ბედმა სტიპენდია არგუნა ო. ზ. არღუთაშვილ-მხარგრძელისას და პ. ი. ბაქრაძისას

ტფილისის სახელმწიფო თეატრის იჯარადარი არტისტ ფიგნერი ტფილისს ჩამოვიდა. დირიჟორად ამ სეზონში მოწვეულია ბ-ნი ესპოზიტო, რომლის ახალი ოპერა „კამორრა“ ყველგან მოწონებულია.

გუშინწინ ქალაქის საბჭოს კომისია, რამდენიმე ხმოსანი და ტეხნიკოსები წალკას წავიდნენ იქაურ წყაროების გამოსაკვლევად და მიდამოების დასათვალიერებლად, რომ გამოარკვიონ, ადვილია თუ არა იქიდგან წყალის გამოყვანა. კომისია ხვალ დაბრუნდება.

ბ-ნ დ. მეტრეველის წერილის გამო.

ჩვენმა დუშელმა კორესპონდენტმა აღნიშნა, სხვათა შორის (იხ. „ივერია“ № 143), რომ დუშეთის ორ სკოლაში საღვთო სჯულსა და ქართულ ენაში ბავშვები სუსტობენო. იქვე მოიყვანა საბუთად აქ სკოლების რევიზორის ბ-ნ დიმიტრიევის (სახალხო დირექტორის) სიტყვებიც, თავის აზრის დასამტკიცებლად. მოსალოდნელი იყო, რომ ზემოხსენებულ სკოლათა მასწავლებელი მღ. მეტრეველი იხელმძღვანელებდა როგორც რევიზორის შენიშვნებით, ისე კორესპონდენტის მხილებითა და შეეცდებოდა, რომ მომავალში მაინც უფრო გულმტკივნეულად შესდგომოდა თავის სამასწავლებლო მოვალეობას. მაგრამ მამა ბლაღოჩინმა ასე არ ინება: მოჰყვა და გვიგზავნა ზედიზედ წერილები! საშველი რომ აღარ მოგვცა, ავიღეთ მისი უკანასკნელი წერილი, გამოვტოვეთ ლანძღვა-გინება და დავბეჭდეთ აგვისტოს რიცხვებში. გვეგონა; თუ მოისვენებდა და ჩვენც მოგვასვენებდა. მაგრამ მესამე დღესვე გამოგვიგზავნა წერილი, რომელსაც ამავე ნომერში ვბეჭდავთ უცვლელად, რათა დარწმუნდნენ მკითხველნი, რა მშვენიერად სცოდნია ქართული მამა მეტრეველსა და რა ცოდნას შესძენს თავის მოწაფეთ.

ბატონ გაზეთ „ივერიის“ გამომცემელს.

დავრწმუნდი, რომ დღეს გაზეთ, „ივერიის“ რედაქცია ჭორაკობას ეგებება დიდის აღტაცებითა და ამალითა, ხოლო სიმართლეს პირს არიდებს, უკუ გაურბის... ვინ ადასრულოს მამა პაპის ანდერძი, თუ არ „ივერიამ“ მომცა სიტყვა დაბეჭდვისა დიდი ხნის ტანჯვის შემდეგ და ამაშიაც-კი იცრუა და აი სწორედ არის ნათქვამი ქართული ანდაზა, რომელიც თითონ რედაქციამ სთქვას—მე კი ვიტყვი აქ იმასა, რომ დამნაშავეთა ვსთვლი ჩემს თავსა და ვწუხვარ, რომ დღემდენ ვიწერდი ამისთანა გაზეთსა, მიდრეკილსა სიცრუისკენ.

უკეთუ მისი რედაქცია ამ ორ დღეში ჩემს პასუხს დედანით არ დამიბეჭდავს, რადგან მისი დასტამბულიდგან მე უმეტეს ნაწყენი შევიქენ, ვიდრე „ითხვისელის“ ჭორებისაგან დაუკვირდეს თავის საქციელს, თუ ასე არ [illegible]

ტებით, ნუ შეილახებით ითხვისულის ცილის წამებით. მე იმაზედ მძიმე სიტყუა და ჭკაზრი არა მაქვს ნახმარები.

დუშეთის დედათა საეკლესიო—სამრევლო სკოლის მართვებელი ბლაღოჩინი მღუდელი
დიმიტრი მეტრეველი
28 აგვისტო 1903 წ. ქ. დუშეთი.

ჩვენებური ამბები

ქ. გორი. კვირას, 7 ენკენისთვეს, აქაურმა სამღვდელოებამ და ახალგაზდობამ გადიხადეს პანაშვიდი ავქსენტი ცაგარლის სულის მოსახსენებლად.

გალობდა გალობის მოყვარულთა გუნდი. პანაშვიდს ხალხი ძალიან ნაკლებად დაესწრო, სახელდობრ: აქაურნი სამრევლო სკოლების მასწავლებელნი, რამდენიმე ქალი და კაცი და ორი პროგიმნაზიის მოწაფე. სამწუხაროა, რომ ასე გულგურილად ექცევა აქაური საზოგადოება ამისთანა საქმეს.

როგორც ეხსომებათ „ივერიის“ მკითხველებს, აქაურმა სამრევლო სკოლების საბჭოს განყოფილებამ დააარსა აქ სამკითხველო, რომელსაც ქალაქიც წელიწადში 100 მანეთს აძლევს. მაგრამ სამკითხველოში-კი სულ ორი კაცი არ შედის დღეში. ამის მიზეზი ის არის, რომ ქართული ჟურნალ-გაზეთები არ მოსდის სამკითხველოს, როცა ქართულის მკითხველი უფრო მეტია. აქამდის ვინმე გულ-კეთილი თუ მოიღებდა წყალობას და თავის „ივერიას“ ან „ცნობის ფურცელს“ მოიტანდა, ხომ კარგი, თუ არა და იყო სამკითხველო უგაზეთებოდ. ბოლოს დროს გამოიწერეს „ცნობის ფურცელი“, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ სამკითხველოს ოთახი არა აქვს და იმყოფება სამრევლო სკოლაში, რომლის ოთახიც დღე კლასად ითვლება და საღამოს ხუთის საათიდგან რვამდის-კი სამკითხველოდ. ასე რომ სულ სამი საათი არ არის ხოლმე ღია დღეში, მით უმეტეს, რომ მორიგეებიც, რომლებიც აღებენ სამკითხველოს, ხშირად იგვიანებენ. კარგი იქნება, რომ ოთახი დაიჭირონ ცალკე სამკითხველოსთვის და ქართული ჟურნალ-გაზეთებიც ყველა გამოიწერონ.

გუცა.

რუსეთი

ამ სამის წლის წინად ორი ექიმი ქალი განწესებული იყო შტატ გარეშე მოხელედ სამკურნალო დეპარტამენტში. სენატმა უკანონოდ იცნო ასეთი დანიშვნა ექიმ ქალებისა მოხელეებად.

— სენატმა განმარტა, რომ ყველა ის საქალაქო საქმე, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის დასამტკიცებელია, გუბერნატორმა ანუ ქალაქ პეტმა (градоначальникъ) უნდა მინისტრს წარუდგინოს საქალაქო საქმეთა საკრებულოს აზრითურთ. თუნდა საბჭოს დადგენილება კანონსაც არღვევდეს, ან მის უწყებას არ ექვემდებარებოდეს, მაინც იგი დადგენილება მინისტრს უნდა გაეგზავნოს დასამტკიცებლად.

— ჰფიქრობენ, რომ სოფლად დაარსდეს ყველგან პატრა-პატრა საზოგადოებანი, რომელთაც ისეთივე აზრი და დანიშნულება უნდა ჰქონდეთ, როგორც სამეურნეო საზოგადოებათა აქვთ, ესე იგი განკარგება გლეხ-კაცობის მეურნეობისა.

— რუსეთის ჩრდილო-დასავლეთის მხარეს უნივერსიტეტი უნდა ორი ქალაქი დავობს, არა ჩვენს ქალაქში დაარსდეს უნივერსიტეტი, არა ჩვენში. მოდავენი არიან ვიტებსკი და დვინსკი. ვიტებსკი ჰპირდება უნივერსიტეტს 44 დესეტინა მიწას და 50 ათას მანეთს ფულს. რამდენს გამოიღებს დვინსკი, ამისი ცნობა ჯერ არ არის გაზეთებში.

— მოსკოვში 7 სეკდემბერს აკურთხეს სახლი ძმათა ბახრუშინებისა; ამ სახლში მრავალი სადგურია, რომელიც უსასყიდლოდ მიეცემა ღარიბ ხალხს.

— 15 სეკდემბერს დაიწყებს მოქმედებას მოსკოვში უმაღლესი საკომერციო კურსები, რომელსაც აზრად აქვს მოამზადოს მასწავლებელნი საკომერციო სასწავლებლებისათვის.

— 7 სეკდემბერს დაასაფლავეს მოსკოვში ცნობილი ქველმოქმედი ეკატერინე კორნილის ასული ერმაკოვისა, რომელმაც 3 მილიონ მანათზედ მეტი დასტოვა მოსკოვის ღარიბთა შესაწევად.

— მერმის შემოდგომისათვის დანიშნულია მოსკოვში კრება მეფუტკრეთა.

— ჰელსინგფორსში 4 სეკდემბერს დაიწყო ფინლიანდიის მკურნალთა მე-19 კრება. კრებას ესწრება 118 მკურნალი და, როგორც გაზეთები ამბობენ, ძალიან საინტერესოა სპეციალისტებისათვისაო.

— სახელმწიფო ბანკის გამგეს თანაშემწედ ინიშნება ვიცე-დირექტორი საკრედიტო საქმეთა განსაკუთრებულის კანცელარიისა ა. პეტროვი.

— ფინლიანდიაში ერთმა გლეხმა იპოვა თოკით შეკრული პარკი, რომელშიაც იყო 130 შვედური ფული მე-XVI საუკ. და 374 ძველი რუსული ფული.

— საერო განათლების სამინისტროს უნდა ახალი შტატები შემოიღოს საარქეოგრაფიო კომისიისა.

— ბეითალი კეკინი ედავება ქალაქ როსტოვს 10 მილიონს. ეგ ფული მიუღია ქალაქს მისის ბიძის ანდერძით. კეკინი ამბობს, მე ნამდვილად ვიცი და დავამტკიცებ კიდეც, რომ ბიძაჩემი სულით ავადმყოფი იყო და, მაშასადამე, არც შეეძლო ეანდერძებინა ვისთვისმე თავისი ქონება, რომელიც უნდა გადაეცეს კანონიერს მემკვიდრეს, ესე იგი მეო.

უცხოეთი

ოსმალეთი. გაზ. „დაილ. მ.“-ის სოფიელ კორესპონდენტს ხანგრძლივი ლაპარაკი ჰქონია მაკედონიის შინაგან ორგანიზაციის ბულგარელ წარმომადგენელ დოქტორ ტატარჩევთან და მეამბოხეთა ცნობილ სარდლის ბორის სარაფოვის ძმასთან.

ორნივენი ამტკიცებდნენ,—ომის ატეხა თუ მშვიდობის დამყარება სერბიის მოქმედებაზედაა დამოკიდებულიო. ტატარჩევის უთქვამს,—მაკედონიის შინაგანმა ორგანიზაციამ მოლაპარაკება გამართა ამ საქმის შესახებ სერბიის მთავრობასთანაო, სერბიის სამხედრო მინისტრმა მაკედონიაში რამდენიმე ოფიცერი გაწესა, რომელნიც უნდა შეუერთდნენ ბულგარელ ჯგუფებს და მათი მოქმედების ვითარება აუწყონ ხოლმე სერბიის მთავრობასაო. სარაფოვის ძმას განუცხადებია, თუ ოსმალეთმა აიძულა მცხოვრებნი სერბთა წინააღმდეგ, სერბია იძულებული შეიქმნება ძველ სერბიასა და ჩრდილოეთ მაკედონიას, ჯარი შეუსიოსო. აწ განსვენებულ ალექსანდრე მეფესაც ასეთივე მოქმედების გეგმა ჰქონია შემუშავებული მაკედონიის საერთო აჯანყების შესახებ.

ალბანელ რედიფთა რაზმები ადრიანოპოლის ვილაიეტიდან სამშობლოშივე, ძველ სერბიას, დაბრუნეს. რედიფებით სავსე მატარებელი, სადგურებზედ ცოტა ხანსა ჩერდება, რომ გზაზედ რაიმე უწესობა არ მოახდინონ. ალბანელების წასვლის შემდეგ ყირქ-კილისეს სანჯაყში მშვიდობიანობა ჩამოვარდა, მცხოვრებლებმა ძლივს თავისუფლად ამოისუნთქეს. აქა-იქ ვაჭრობაც დაიწყო.

ყირქ-კილისმა-კი მოისვენა, მაგრამ რა ჰქნის ძველ სერბიის მცხოვრებ ქრისტიანებს, როცა გამძვინვარებული ალბანელი ჯარის კაცები შინ დაბრუნდებიანო?

ბულგარია. აი, იმ ორი ნოტის შინაარსი, რომელიც ბულგარიამ ჩააბარა პორტას:

რევოლიუცია გამოიწვია აწ არსებულმა რეჟიმმა, რომელმაც აიძულა ახალგაზდობა გაქცეულიყო საზღვარ-გარედ და მოეხდინა შინაური რევოლიუცია იმ აზრით, რომ განეხორციელებინა ბერლინის ხელშეკრულობის მე-23 მუხლი.

რადგან აჯანყებამ თავ-დაპირველად მონასტერში იფეთქა, ბულგარიიდგან 250 კილომეტრის მანძილზედ, ცხად-ჰყოფს, რომ აჯანყება ბულგარიიდგან მოსულ ჯგუფებს არ დაუწყიათ; ამიტომ ბულგარიის სამთავროს მთავრობა ყოველსავე პასუხის გებას იმ ამბავთა გამო, რომელნიც ადრიანოპოლისა და მონასტირის ვილაიეტებში ჰხდება, უარ ჰყოფს, ვინაიდგან იგი გამოიწვია ბულგართ მკვიდრთა სისტემატიურმა დევნამ.

ბრწყინვალე პორტა, იმის მაგივრად, რომ ბოლო მოუღოს ამ დევნას, პირიქით მხარს უჭერს და აძლიერებს ისედაც გამწვავებულ მდგომარეობას, რომელიც კარგს არას უქადის არც ოსმალეთსა და არც ბულგარიის სამთავროს. მაგრამ ბულგარიის მთავრობა იმედოვნებს, რომ საქმეთა აწინდელი მდგომარეობა დაარწმუნებს პორტას, თუ რა საფრთხეში ებმის თავათაც და უნდა გააბას ბულგარიაც.

მეორე ნოტა, რომლითაც დიდ სახელმწიფოებს მიჰმართა,—გაზ. „Temps“-ის სიტყვით, შემდეგის შინაარსისაა: ის აზრი, რომელიც გამოსთქვა ბულგარიის მთავრობამ 29 ივნისის ნოტაში, სრულიად გამართლდა. ოსმალეთის მთავრობა, როგორცა სჩანს, მოწადინებულია სისტემატიურად ამოსწყვიტოს ბულგართა მკვიდრნი. იმ აუარებელ ჯარის გადაყვანა ევროპის ოსმალეთში, ვითომდა აჯანყების დასაცხრობად, საბუთს აძლევს ბულგარიის მთავრობას იფიქროს, რომ ოსმალეთს ჰსურს დაეცეს ბულგარიას, როგორც კი მოხერხებულ დროს შეურჩევს. ამას შემდეგ ბულგარიის მთავრობას არ შეუძლიან გულ-გრილად შეჰყურებდეს ეხლანდელს საქმეებს და იძულებულია მიიღოს საჭირო ღონისძიებანი თავის მხრითაც.

ავსტრია-უნგრეთი. ვენაში, როგორც გაზ. „Temps“-ს ატყობინებენ, ხმა დაჰყარეს,—რამდენმამე ავსტრიის სამხედრო გემმა ბრძანება მიიღო,—მზად იყავით სოლუნს წასასვლელადაო. ოფიციალურის ცნობებით, ის გემები გამართება ტრიესტისაკენ, რადგან იქ 4 ოქტომბერს, ზღვაში ჩაუშვებენ ახალს ჯავშნიანს გემსაო; მაგრამ ეს განმარტება სრულიად დაუჯერებელია, რადგან რამდენისამე დღის შემდეგ ოსმალეთს მთელის ესკადრის გაგზავნას აპირობენო.

საბერძნეთი. როგორც გაზ. „Petit Blou“-სა და „Frankfurt Zeit“-ის პრუსელელი კორესპონდენტები იუწყებიან, ინგლისის მთავრობა თანახმაა მაკედონიაში ქრისტიანი გენერალ გუბერნატორი დაინიშნოს, და კიდეც დაუსახელებია ამ თანამდებობაზედ საბერძნეთის მემკვიდრე, ბატონიშვილი გიორგი. ამის შესახებ ინგლისის მთავრობამ შეატყობინა საბერძნეთის მეფეს, რომელსაც, როგორც ეტყობა, არაფრად მოსწონებია ეს ამბავი. ამასთანავე, ეტყობა, ბატონიშვილიც არაა თანახმა, რომ კრიტი მაკედონიაზედ გასცვალოს. სამაგიეროდ საბერძნეთის მეფე თანახმაა მაკედონიის გენერალ-გუბერნატორად მისი მესამე ვაჟი, ბატონიშვილი ნიკოლოოზი იქმნას დანიშნული. ბატონიშვილი ნიკოლოოზი ეხლა 31 წლისაა და მეუღლედა ჰყავს დიდი მთავრინა, ელენე ვლადიმირის ასული.

რასაკვირველია, ასეთი პროექტი არ შეიძლება აღსრულებულ იქმნას, თუ წინდაწინვე არ შეთანხმდენ ავსტრია, ოსმალეთი და რუსეთი. ეს სახელმწიფოები მისცემენ თუ არა დიდ ბრიტანიას ნებას, რომ გაერიოს ამ საქმეში — აი საკითხი, —ამბობს გაზ. „ტაიმსი“.

ნარკვევი

„ს.-პეტ. ვედ.“-ში დაბეჭდილია წერილი მატიუშენსკისა სადგილ-მამულო უწესოებისა და მოუწყობლობის შესახებ ამიერ-კავკასიაში. ავტორი სიმოვნებით აღნიშნავს ამას წინად უმაღლესად დამტკიცებულს დებულებას მინისტრთა კომიტეტისას „ამიერ-კავკასიის გლეხთა სადგილ-მამულო მოწყობის თაობაზედ“.

ადგილ-მამულის საქმის მოუწესრიგებლობას,— ამბობს მატიუშენსკი, —ისე არსად არ გამოუჩენია თავისი დამღუპველი გავლენა, როგორც ამიერ-კავკასიაში. ეს საქმე ერთი იმ კედლეთაგანია, რომელსაც ზედ-ემსხვრევა ყოველ-გვარი კულტურული და სასიკეთო განზრახვა მამულის პატრონისა და მიწად მოქმედისა, აგრეთვე საზოგადოებისა და მთავრობის დაწესებულებისა. მარტო ის კმარა ვსთქვათ, რომ თითქმის ნახევარი რიცხვი მკვიდრთა სადგილ-მამულო დავიდარაბაშია გაბმული და არ იცის, როდის მოეღება ბოლო სასამართლოში დაწყებულს საქმეს. კარგია კიდევ, თუ მოიგო საქმე და დარჩა ისევ თავის ბინაზე, შეირჩინა თავისი ნაშვერი მიწა და წვითა და დაგვით შექმნილი, ნადგაწი კარ-მიდამო, ბაღ-ბოსტანი. თუ არა და უნდა გამოეთხოვოს ყოველსავე—სახლ-კარსაც, ბაღ-ბოსტანსაც, მინდორ-ველსაც და იწოწიალოს აქეთ-იქით უსახლკაროდ, უქონელმა, მამა-პაპის სამარხისაც მოშორებულმა, ვინ იცის როდის ეღირსება ამისთანა მოხეტიალეს, რომ სხვა საქმე გაიჩინოს, სხვა მამული იშოვოს, სამუშაო მოიპოვოს რომელისამე ქალაქის ქარხანასა და ფაბრიკაში.

საქმე ის არის, რომ ხშირად ერთსა და იმავე მამულზედ დავობს მემამულე ცალკე, ხაზინა ცალკე და გლეხობა კიდევ ცალკე. გლეხობა ამტკიცებს, მამული ჩვენი საკუთრებააო, მემამულე, მეტადრე იქ, სადაც მუსულმანობაა, არა ჩემიაო. ორივესა ჰყავთ მოწმები. ეს გარემოება იარაღს აძლევს ხელში ხაზინის ინტერესების დამცველს. ძლიერდება ცრუ-მოწმობა. გლეხო-

ფელეტონი

ცოცხალი ტყუილი

(პასუხად ბ-ნ ივანე როსტომაშვილს).

> პატიოსნება აზროვნებისა უფრო კიდევ იშვიათი ხილია, ვიდრე პატიოსნება ყოფაქცევისა.
>
> ბერნე.

ყოველს შეგნებულს ქართველს, რომელსაც-კი თვალი უდევნებია ჩვენი ლიტერატურისათვის ამ ოც-და-ათის წლის განმავლობაში, კარგად მოეხსენება, რომ ამ სტრიქონების დამწერი იმ თავიდგან ამ თავამდე ჰქადაგებდა, რაც-კი ძალი და ღონე შესწევდა, რომ სახალხო პირველდაწყებითი სკოლა მხოლოდ მაშინ შეიქმნება ჭეშმარიტის განათლების კერად, როდესაც მასში სწავლა ყველა საგნებისა, თავიდგან დაწყებული ბოლომდინ, მოეწყობა დედა-ენაზე და სახელმწიფო ენა-კი ისწავლება, როგორც კერძო საგანიო. ამას ვქადაგებდი და ვქადაგებ როგორც ქართულს ენაზე, ისე რუსულზედაც, როგორც ქართველთა და სხვა კავკასიელთა წინაშე, ისე რუსების წინაშეცა. ორპირობა, ყიზილბაშობა, კუდის ქნევა აქეთაც და იქითაც არას დროს არ მიკადრნია არც ამ დიდი საკითხისა და არც სხვა რომელიმე საქმის შესახებ. ბ-ნმა როსტომაშვილმა-კი აი რა მომიჭორა უკანასკნელს თავისს წერილში (იხილე „ივერია“ 22 აგვისტოდგან).

„გოგებაშვილი თხოულობს (თხოულობდა მოხსენება და არა მე), რომ ოთხწლიანს სკოლებში სწავლება სამს წელიწადს სამშობლო ენაზე სწარმოებდეს და შემდეგ-კი, ესე იგი, მეოთხე წელიწადს სწავლა სულ ამ ენაზე სწარმოებდეს. აბა პოლიტიკანობა თუ გინდათ, რომელსაც ყოვლად უსაბუთოდ მე მამწყრალებთ, აქ არის. სად გაგონილა, რომ ჭეშმარიტს სახალხო სკოლაში სწავლა-აღზრდა სამშობლო ენაზე შუა გზაზე სწყდებოდეს და უცხოზე ფუძნდებოდეს? ამის ქადაგება მხოლოდ დომოროშჩენი პედაგოგებს შეუძლიანთ და აკი ქადაგებენ კიდეც“.

უყურებთ, რა რიხიანად სწერს ჩვენი ავტორი! ნეტარ-ხსენებული პოლიტიკანი ზახაროვის ტერმინიც-კი იხმარა მან. ეს მთავარ-მოძღვარი როსტომაშვილისა, დასამცირებლად ქართულის პედაგოგებისა, რომელნიც დედა ენის უფლებას იცავდნენ სახალხო სკოლაში, ხშირად ჰხმარობდა ტერმინს: დომოროშჩენი პედაგოგები. მაგრამ ამის პირში ეს ტერმინი ისე სასაცილო როდი იყო, როგორც როსტომაშვილისაში. ზახაროვს ევროპა ცალი-თვალით მაინც ენახა და ფრანგულიც საყველ-პუროდ მაინც იცოდა. ჩვენი მამაცი ავტორი-კი კუკიის პოლიტიკანურს სკოლას არ გასცილებია, რუსული წიგნების მეტი არა უნახავს-რა, და დომოროშჩენი პედაგოგებს ეძახის მათ, ვისაც მაღალს სასწავლებელში მოუსმენიათ მთელი კურსი პედაგოგიისა, ფსიხოლოგიისა და ფილოსოფიისა, ერთად შეკავშირებული, კარგა ხანს ყოფილან ჯერ მასწავლებლებად დაბალ და საშუალო სასწავლებლებში და მერმე ხელმძღვანელებად მასწავლებლებისა... რად იხდის სასაცილოდ ბ-ნი როსტომაშვილი თავსა და რად იძლევა საბუთს, რომ მას სანაცვლოდ და სამართლიანად დაუძახონ გარეწარი პედაგოგი?

„სად გაგონილაო“, რიხიანად კითხულობს ბ-ნი როსტომაშვილი. სად გაგონილა და თქვენს საკუთარს წიგნაკებში, წერილებში და პროექტებში, ჩვენო მამაცო. დიაღ, თქვენგან გაგონილა არამც თუ მეოთხე წლიდან სწავლება საგნებისა უცხო ენაზე ჩვენს სახალხო სკოლაში, არამედ პირველიდგანვე, რასაც შემდეგში ცხადად დავანახვებთ იმათაც, ვისაც ეს ჯერ კიდევ არ დაუნახნია. კარგად დაუხსომებია ბ-ნ როსტომაშვილს ქართული ანდაზა: ჩემი შენ გითხარიო, მაგრამ მეორე ანდაზა-კი გამოჰპარვია: ტყუილს მოკლე ფეხები ასხიაო. საუბედუროდ, ჩვენი ავტორის ტყუილი მოკლე ფეხებსაც კი მოკლებულია და კუტს სიცრუეს წარმოადგენს.

ჩვენ ვრცლად და დოკუმენტალურად დაუმტკიცებთ, რომ ბ-ნმა როსტომაშვილმა ცოცხალი ტყუილი მოგვიგონა, როცა დაგვწამა, ვითომც ჩვენ მეოთხე წლიდგან სწავლება საგნებისა მოგვეთხოვოს რუსულს ენაზე. ჩვენ არ დავერიდებით გრძელს ბაასსა, რადგანაც ამ საკითხს უძირითადესი მნიშვნელობა აქვს ხალხის განათლებაში და თავის თავად სავსეა საზოგადოებრივი ინტერესით.

როცა 1876 წელს მოვიწადინეთ „წერა-კითხვის საზოგადოების“ დაარსება და ვახტანგ დიმიტრის ძემ თულაშვილმა, თანახმად ჩემის თხოვნისა, ხარკოვიდგან გამოიწერა, თავისი სიმამრის შუამდგომლობით, წესდება იქაურის წერა-კითხვის კომიტეტისა, მასში არ აღმოჩნდა პარაგრაფი შესახებ იმისა, რომ დედა-ენაზე უნდა ეწარმოებინა კომიტეტს თავის სკოლებში მთელი სწავლება. ამიტომ დიმიტრი ყიფიანი და ნიკო ცხვედაძე, რომელთაც იკისრეს გადაკეთება ამ წესდებისა ჩვენის ქვეყნისათვის, შესაძლოდ არა რაცხდნენ ხსენებულის პარაგრაფის შეტანასა. მათივე მხარე დაიჭირა მაშინდელმა სახალხო დირექტორმა ბესარიონ ლოლობერიძემ, რომელსაც ეფიქრებოდა, ვაი თუ ამ პარაგრაფმა წესდების შეწყნარებას ხელი შეუშალოსო. თვითონ პრინციპს კი დედა-ენაზე სწავლებისას ყველანი, რასაკვირველია სულით და გულით აღიარებდნენ. მაშინ მე ყოველი ღონისძიება ვიხმარე დამეჯერებინა ჩემი თანამოღვაწენი, რომ თუ ამ პარაგრაფს არ შევიტანთ წესდებაში და არ მოვიპოვებთ უძირითადესს უფლებას, ჩვენი სკოლები ქვიშაზე იქმნება აგებული, მახლობელს მომავალში მათში გაამეფებენ უცნობ ენასა და ახალი საზოგადოების მოქმედება ფუჭი იქმნება მეთქი. შიშიც გაზვიადებულად ვსცან და დავსძინე, რომ ახლანდელი მომენტი ძლიერ მოხერხებულ დროდ მიგვაჩნია ამ უფლების მოპოვებისათვის მეთქი. ბოლოს დამეთანხმნენ და მე წესდების შავში, რომელიც ნიკო ცხვედაძის ხელით იყო ნაწერი, და რომელიც დღემდე დაცულია, ჩავუმატე ჩემი საკუთარი ხელით შემდეგი პარაგრაფი: „общество достигаетъ своей цѣли посредствомъ организаціи *всего* начальнаго обученія на родномъ, вполнѣ понятномъ дѣтямъ языкѣ и способствуетъ изученію русскаго языка“. მთელი წესდება ამ პარაგრაფითურთ შეწყნარებული იქმნა მთავრობისაგან და კანონად დაედო „წერა-კითხვის საზოგადოებასა“...

როცა ოცის წლის წინად ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი შეუდგა სამეურნეო სკოლის დაარსებასა, მაშინაც ზოგს ეფიქრებოდათ, ვაი თუ წესდება არ დაგვიმტკიცონ, თუ მთელს სწავლას ექვსის წლის განმავლობაში მოვითხოვთ დედა-ენაზედაო. მე ვეცადე ეს ფიქრი გამეფანტნა და აღუთქვი: ვეცდები, რაც ძალი და ღონე შემწევს, ისე საფუძვლიანად დავასაბუთო მთელის სწავლის მოწყობა დედა-ენაზე, რომ მთავრობამ შეიწყნაროს მეთქი. დამეთანხმნენ და წესდებაში შევიტანეთ შემდეგი პარაგრაფი: „Преподаваніе въ школѣ, во все продолженіе курса, ведется, по прилагаемому при семъ уставѣ плану, на грузинскомъ языкѣ“. შემდეგ დავსწერე ვრცელი განმარტებითი წერილი *) სამოსწავლო გეგმისა და სწავლება ქართულს ენაზე ექვსის წლის განმავლობაში შეწყნარებულ და დაკანონებულ იქმნა მთავრობისაგან, რასაც ხელი მოუმართა იმ გარემოებამაც, რომ წინამძღვრიანთ კარის სკოლა კერძო სასწავლებელი იყო და არის და არა საზოგადო.

სამართალი მოითხოვს ვსთქვა, რომ მე მეკუთვნის მხოლოდ გეგმა სწავლებისა და განმარტებითი წერილი, პროგრამები-კი შედგენილნი არიან ნიკო ცხვედაძის მიერ. ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი, რასაკვირველია, უმხურვალეს მონაწილეობას იღებდა საქმეში, რომელსაც მან მისცა დასაბამი თავდაპირველად, თავმჯდომარეობდა კრებებზე და სამაგალითო მხნეობით მოქმედებდა, როგორც წესდებულების შედგენის დროსა, ისე მისი დამტკიცების ჟამსა. შემდეგში ხომ ერთად ერთი აწარმოებდა თავის საყვარელს სკოლას და ახლაც აწარმოებს სამაგალითო გულმხურვალებით ისევ მარტოდ-მარტო.

ვისაც თვალი უდევნებია ადგილობრივ ლიტერატურისათვის, იმას კარგად ეხსომება, რომ არც ერთი მარჯვე შემთხვევა არ გამიშვია, არ გამოვსარჩლებოდი დედა-ენის გამეფებას სახალხო სკოლაში ხან რუსულს ენაზე, ხან ქართულზე, როგორც საზოგადოებისა, ისე მთავრო-

---

*) ეს განმარტებითი წერილი სთარგმნა ქართულად უბედურმა ვანო მაჩაბელმა და დაბეჭდა ჟურნალს „ივერიაში“.

ბა ემუქრება იმათ, ვინც მათ წინააღმდეგ აჩვენებს სასამართლოში, ბევრი კიდევ სცდილობს მოისყიდოს მოწმე: შენა სთქვი, რომ მამული ჩემია და მერე მე ვიცი, როგორც გადაგიხდი სიკეთესა. ამასობაში არის ერთი წამება და წეწვა-გლეჯა. ხშირად ჰკვლენ კიდეც მოწმეს. კაცის კვლას მოსდევს სისხლის აღება და სდევნიან ერთის მოკლულის ნათესავები მკვლელის ნათესაობას. ბევრი იხოცება, ბევრი კატორგაში მიდის. ზოგი კატორგიდგან თავს იხსნის და უჩადად გავარდნილი განაგრძობს კაცის კვლას. ასეთი გამოქცეული კატორგიდან აღარავის ინდობს: ჰკლავს იმ მოწმესაც, რომელმაც მის სასარგებლოდ არ აჩვენა სასამართლოში, იმასაც, ვინც გასცა და დააჭერინა, ადვოკატსაც, რომელიც მისი წინააღმდეგი იყო. ასე მოჰკლეს ნაფიცი ვექილი სტაროსელსკი ჯერ ისევ პროცესის გათავებამდე. იგი იცავდა გლეხებს და ბეგებს ეწინააღმდეგებოდა...

დასასრულ ავტორი ამბობს:

ერთის სიტყვით, ისეთი მდგომარეობა ჩნდება, რომ ძაღლი პატრონს ვეღარ იცნობს: ერთის მხრით, ხალხი ირყვნება და თახსირდება ზნეობით, მეორეს მხრით —ხალხი ჰჟლეტს ერთმანეთს.

ამიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა ამიერ-კავკასიისათვის ახალ დებულებას და დიდად სასურველია მისი მალე განხორციელება ცხოვრებაში. უამისოდ ამიერ-კავკასია ფეხს წინ ვერ წარსდგამს, იქ მშვიდობიანობა არ დამყარდება.

თეატრი და ხელოვნება

ამ რამდენისამე თვის წინად ვერაზე შესდგა ერთი პატარა ამხანაგობა, რომელსაც აზრადა ჰქონდა ვერაზევე ქართული სახალხო წარმოდგენები ემართნა. ჩვენ, ვერელებმა, ამის გამგონებმა სიხარულით აღარ ვიცოდით რა გვექნა. ან-კი რა გასაკვირველია? ამოდენა უბანია, ამოდენი მშრომელი ხალხი ვცხოვრობთ აქ და არავითარი გასართობი, არავითარი გონება-ზნეობის ამმაღლებელი კი არა გვაქვს, გარდა ლუდხანა-სამიკიტნოებისა, სადაც ჩვენი წვითა და დაგვით ნაშრომ-ნაშოვნი ორიოდე გროში გადადის მედუქნეების გაუვსებელ ჯიბე უბეებში.

დიად, გვიხაროდა ვერელებს, დღე-დღეზე ველოდებოდით წარმოდგენებს, მაგრამ,—დაილახვროს ჩვენი ბედი და იღბალი,—დღევანდლამდე არა ისმის რა. არ ვიცით კიდევ არსებობს ის ამხანაგობა, თუ სული თვისი განუტევა წიაღსა შინა აბრამისასა. ყველგან იწყება სეზონი თეატრისა და ჩვენი სეზონი როდის დაიწყება,—არ ვიცით.

პეტრე სამადაძე.

—

დ. ხონი. გათავდა ზაფხული და გაზუ-

თავდა დღე აქაურს თეატრსაც. აქ თეატრის შენობა კერძო კაცს ჰქონდა აგებული. ახლა ეს შენობა მან სრულიად დასქცია, რადგან შემოსავალს არას აძლევდა. ვინ იცის, როდის-და გვეღირსება ისეთი შენობა, რომ წარმოდგენების გამართვა შეიძლებოდეს. მაინც ემდუროდნენ ხონელები თეატრის შენობასაც, წარმოდგენებსაც და ახლა მოისვენებენ: აღარავინ შააწუხებს ბილეთის მიყიდვით.

მ.

—

5 სეკდემბერს იყო პირველი კონცერტი თ. შალიაპინისა ნიჟნი-ნოვგოროდში სახალხო სახლის სასარგებლოდ. შალიაპინს დიდის ამბით მიეგებნენ. ოვაციებს დასასრული არა ჰქონდა. შემოვიდა სამასი თუმანი.

ნარჩევი და ნაქექსი

(პლაგიატი)

(ფარდა აიხდება, და ჯერ ერთი ახალგაზრდა გამოჩნდება სცენაზედ, მერე მეორე; ესენი აქტიორობასა სწავლობენ.)

პირველი ახალგაზდა. (შემოდის მარტო)
ძლივს მარტო დავრჩი!.. ოჰ! რა კარგია,
რომ მუდამ გქონდეს ღვინის სმის ნება!..
რად მინდა, რომ ვარ მე აქტიორი.
და რას მარგია მე ხელოვნება,
თუ ჩემს ნებაზედ „ტილიბუჭურთან“
ფეხისა ჩადგმა არ მეღირსება?.. (პაუზა).
დავემორჩილოთ უნდა რეჟისორს,
უნდა მივსდიოთ მაცდურს ზნეობას,
მძიმე უღელი დავსდვა ჩემს როლებს
და შევაკვეცო ფრთები ღვინის სმას?!.
(ისმის კულისებიდან ხმა).
მეორე ახალ. ხმა. მამულის შვილო უ!..
პირველი (თავისთვის). ეჰ, ღვთის რისხვა!
რომ არ მომძებნონ, არ შეიძლება?
დარბაისლურად დამბადხარ... მოხვალ,
რომ გამიმწაროს ღვინის სმის ნება! (გასძახებს)
უუ, აქა ვარ, აქეთ წამოდი!..
(შემოდის მეორე ახალგაზდა).
მეორე ახალგაზ. მამულიშვილო, სად ბრძანდებოდი?
ერთხანს გეძებე სიორტლაძის ბაღში
და რომ ვერ გნახე, შიშით ვკვდებოდი!..
პირველი ახალგაზ. რამ შეგაშინა, ვინმე მომკლავდა?
რისთვის ჩამომრჩი... ვისი ბრალია?..
მეორე. წინ შემეხვია მე «მანსონეტკა»,
მას ვეარშიყე, შემიყოლია!..
პირველი. ჰოო, მეც შემხვდა! გიჟია გგონებ,
ან დღეს უთუოდ სადმე დამთვრალა,
ტუჩს ვეამბორე, გროშები მივეც...
იუკადრის და დამამწყრალა.
მეორე. რომ მცოდნებოდა, თუ ვინ ბრძანდებით,
კადნიერებას ვერ გაჰბედავდა,
მაგრამ თვალეში აქვს საბრალოს შუქი
და ხელოვანსა ვერა ჰხედავდა!
პირველი. არშიყი და თან ამპარტავანი?
მეორე. თუმც არშიყია, მაგრამ ფულების
გამორთმევას კი არ არს ჩვეული...
სახელოვანი იყო ის ერთს დროს;
ეხლაც სულ სხვაა მაგისი გული!
. . . .
პირველი. შენ ეს მითხარი, ჩემო კეთილო,
უშნოდ „მიგბრეგვა“ დღეს ხომ ის ბრიყვი?..
მეორე. როგორ თუ უშნოდ? შენგან არ მიკვირს?
მაგას რას ამბობ, მაგას რად იტყვი?..
პირველი. მინდოდა მკლავი გამომეცადა:
ერთის სილითა დამეცდო მსურდა,
და ის მაწუხებს, რომ უღონობით
ჩემი სურვილი ვერ შემისრულდა!..
მეორე. რას ბრძანებთ? აგრე რომ კვლავ შემოჰკვრა,
თვით სვიმონის ძეს ჩამოაგდებთ ძირს!.
პირველი. ნეტავ პირველად ჩემი სილები
მას მოჰხვედროდა და არა იმ ვირს!..
მეორე. განა მაგას-კი ვერ მოუსწრები?
პირველი. რადა დროს, ჩემო მოჭირნახულე!..
ამდენი ხანი აქტიორი ვარ...
ორ წელიწადი დღეს შევასრულე!..
მორჩილი რომ ვარ აგრე ტანადად,
მისთვის ვგონივარ უშნო ყველასა...
გზას არ მაძლევენ... როგორ ვეცადო,
მე ჩემის თავის გამოჩენასა?—
. . . . . . (სიჩუმე ცოტა ხანს)
ჩემო ძმა-ბიჭო! დიდი ხანია
მსურდა, რომ შენთვის მეთხოვნა რამე!..
ეხლა გიბედავ და ძლიერაც გთხოვ;
დიდ აქტიორებთან გამათამაშე!..
ორი სეზონი ისე გავიდა,—
ერთი კარგად არ მითამაშნია!
მაძლევენ რადაც უფერულს როლებს...
როგორ გამოვჩნდე მე იმათში!...
შენც კარგად იცი, ისე მიმიდეს,
რომ არ მქონია მე პროტექცია!!.
ეხლა ცხოვრებამ ეს ცუდი დარგი
საერთო სენად გადააქცია!
დედა არა მყავს და აღარც მამა,
ყოველის მხრიდგან ვარ მე ობოლი...
წა, რეჟისორთან მიშუამდგომლე,
რომ დამილოცოს მე დიდი როლი!
(ტრაგიკულად)
„მონას რად უნდა კრული სიცოცხლე?
„ვისთვის აანთოს წმინდა ლამპარი?
„სჯობს მონებაში გადაკარგებულს...
„ტილიბუჭურის“ ძენაში მკვდარი“!..
ფარდა.

დიმ. ჯაში.

წერილი

რედაქციის მიმართ.

I

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუა-

დებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოს გუბის სცენის მოყვარეთ, სახელდობრ: ქქ: გარცვანიძეს, მოსეშვილს; ბ-ნთ სიმონ ნიჟარაძეს, დ. მოსეშვილს, ალ. ფარცვანიას და გუბის წულისპირელს, რომელთაც 9 აგვისტოს გუბში სკოლის სასარგებლოთ წარმოდგენა გამართეს, და განსაკუთრებით სვანიძეს, რომელმაც სახლიც დაგვითმო და სცენაც მოგვაწყო.

გუბის სკოლის მასწავლებელი მიხაკო ბახტაძე.

„ივერიის“ ფოსტა

ქ—ნს. ი. პ—ლს. ბოდიშს ვიხდით უნებლიეთის შეცდომისათვის. ვეცდებით, შემდეგ აღარ განმეორდეს მაგისთანა შეცდომა. ნუ დაგვივიწყებთ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 სეკდემბერი.

ვარშავა. დილის ცხრის ნახევარზედ ინებეს და გაემართნენ სკვერნევიცას ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა ავგუსტოვსის სახლობით და დიდნი მთავარნი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

სოფია. უკანასკნელს სამს დღეს გადმოვიდა სამზღვარს აქეთ 11,000 ლტოლვილი.—ბულგარიის სამხედრო მინისტრს ყოველ ქვეყნის უცხოელ ოფიცერთაგან წერილები მოსდის, მიგვიღეთ სამხედრო სამსახურშიო.

ბელგრადი. სკუპშჩინა საგანგებო სესიისათვის მოწოდებულია 16 სეკდემბრისათვის.

ათინა. ბატონიშვილი ნიკოლოზი მეუღლითურთ დღეს წაბრძანდნენ დარმშტატში.

სტამბოლი. სმირნაში ჭირის ნაირმა ავადმყოფობამ იჩინა თავი.—სოფელ ბოტურნაუში ბულგარებმა დინამიტით ააფეთქეს მეჩეთი.

ვაშინგტონი. თუ ოსმალეთის მთავრობამ ნება მისცა დაიბარონ აღმოსავლეთის წყლებიდამ ამერიკის სამხედრო გემები, მაშინ ევროპაში მყოფი ესკადრა შეერთებული შტატებისა წავა ჯიბუთში, რათა შეერთებულის შტატების ინტერესი განაცხადოს აბისინიაში, სადაც ამ ქვეყანასთან სავაჭრო დამოკიდებულების შესახებ აღიძრა საქმე.

სკვერნევიცი. აქ სამეფო მატარებელი მოვიდა, რომელშიაც იყო აგრეთვე ვარშავის გენერალ-გუბერნატორი. რკინის გზის სადგურები მორთული იყო. ხალხი სიხარულით შეეგება უმაღლესთა გვამთა მობრძანებასა. ულანის პოლკის დეპუტაციამ მიართვა ხელმწიფე იმპერატრიცას მშვენიერი თაიგული. მრავალმა გლეხთა დეპუტაციებმა და ქალაქ სკვერნევიცის დეპუტაციამ ხელმწიფე იმპერატორს მიართვეს პურ-მარილი. სხვა-და-სხვა გუბერნიის გლეხთა დეპუტაციებმა მადლობა უძღვნეს მის უდიდებულესობას იმ უმაღლესის მოწყალებისათვის, რომელიც წელიწადობის გამო აღმოუჩინა ხალხს. დეპუტაციამ სოფლიანოვამ მიართვა ხელმწიფე იმპერატორს ხატი. ხელმწიფე ცხენით, ხოლო ხელმწიფე იმპერატრიცა ავგუსტოვსის სახლობით ეტლით მიბრძანდნენ საეკლესიო დღესასწაულზე, რომელიც ულანის პოლკისათვის იყო გამართული. მოსწავლეებმა—ვაჟებმა და ქალებმა, ყვავილებით აავსეს ხელმწიფე იმპერატრიცას ეტლი. პარადის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორის წინ ცოცხლად გაიარა პოლკმა, რომელსაც მარცხნივ უდგა ხელმწიფე მემკვიდრე. პოლკმა ხელმწიფის მადლობა მიიღო.

დღესასწაულის გათავების შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა ინება და ადღეგრძელა პოლკი: „ჩემის საქებურის პოლკისა და მის ადიუტანტებისათვის“. სადღეგრძელოს აღტაცებულის «ურას» ძახილით მიეგებნენ. პოლკის კომანდირმა ადღეგრძელა ხელმწიფე იმპერატრიცანი და ხელმწიფე მემკვიდრე. ამ სადღეგრძელოსაც მოჰყვა «ურა». დღესასწაულის გათავებას მოჰყვა უმაღლესი საუზმე.

ვარშავა. ნაშუადღევის 3 საათზე ხელმწიფე იმპერატრიცა ავგუსტოვსის სახლობით წაბრძანდნენ საზღვარ-გარეთ.—სკვერნევიციდან ინებეს და მობრძანდნენ ვარშავას ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე. სადამოზედ დიდს თეატრში სადღესასწაულო წარმოდგენა იყო.

12 სეკდემბერი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა ავგუსტოვსის შვილებით 11 სეკდემბერს გაემართნენ სკვერნევიციდან დარმშტადს.—კიევისა, პოდოლიისა და ვოლინის გენერალ-გუბერნატორი გენერალ-ადიუტანტი დრაგომიროვი დანიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრად და თან უმაღლესი რესკრიპტი ებოძა.—ვიდრე გარეშე საქმეთა მინისტრი დაბრუნდებოდეს, სამინისტროს მართვა ჩაჰბარდა მინისტრის ამხანაგს თავადს ობოლენსკის.

ვენა. რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის წინადადების შესახებ, რომელიც სოფიასა და სტამბოლს მიეცა ამას წინად, შემდეგი ცნობა მოვიდა ოფიციალურად: ამ ბოლო თვეებში მონასტირისა, სალონიკისა და უსკიუბის ვილაიეტებში ჩადენილმა ბოროტ-მოქმედებამ დაჰბადა ფიქრი, რომ, თუმცა დიდმა სახელმწიფოებმა არა ერთხელ გამოარკვიეს საქმის გარემოება, მაინც აჯანყებულთა შორის კიდევ იმედოვნებენ, ვითომ რომელიმე დიდი სახელმწიფო გამოესარჩლება; ამიტომ რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის მთავრობამ საჭიროდ მიიჩნიეს და მიანდეს თავიანთ წარმომადგენლებს სოფიაში, ჩააგონეთ და მიაქციეთ ბოლგარელთ მთავრობის ყურადღება, რომ ჩვენ კვლავ რეფორმების პროგრამას ვადგევართ, ამ წლის დამდეგს შემუშავებულს ურთიერთ-შორის მორიგებით და შე-

---

ბის წინაშე. სხვათა შორის ამავე საკითხს ვუძღვენი ვრცელი წერილი: „ძირითადი უკუღმართობა“, რომელიც ცალკე წიგნადაც დაიბეჭდა. მთელი ეს წერილი, როგორც მკითხველს მოეხსენება, ღაღადისია დედა-ენის უფლების დასაცველად და გასამეფებლად როგორც ოჯახში, ისე სახალხო სკოლაში.

მაგრამ იქმნება შემდეგში ხნიერებამ და მძლავრმა რეაქციამ იმოქმედა ჩემზე და მე ხმა დავიმდაბლე, დეფექტი მომივიდა ამ პედაგოგიურის პრინციპის შესახებ? ამაზედაც მკითხველს უპასუხებენ შემდეგი უტყუარი წერილობითი ფაქტები...

მკითხველს კარგად ეხსომება, რომ შარშან შემოდგომაზე უმაღლესი მთავრობის მიერ აღძრულ იქმნა საკითხი შესახებ სასოფლო მეურნეობის აღდგენისა და გაძლიერებისა რუსეთსა და კავკასიაში. რადგანაც ამ საკითხს პირდაპირი კავშირი აქვს ხალხის განათლებასთან, ამიტომ მე ვისარგებლე შემთხვევით და დავწერე რუსულს ენაზე ვრცელი წერილი, რაშიაც გავატარე ის მთავარი აზრი, რომ ჩვენი სახალხო სკოლა უნაყოფო იქმნება იქამდინ, ვიდრე მასში არ გამეფდება დედა-ენა, რომელზედაც უნდა მოეწყოს სწავლა კურსის გათავებამდინ ყოველ პირველ დასაწყისს სკოლაშია მეთქი. ეს უფლება აქვს მინიჭებული შიდა რუსეთში სახალხო სკოლასა და იგივე უფლება სავსებით უნდა მიენიჭოს ჩვენებურს სახალხო სკოლასაცა-მეთქი*). აქ მოგვყავს ერთი ადგილი:

„Нужно вполнѣ обезпечить самое существенное условіе жизненности и цѣлесообразности нашей народной школы, а именно полную сознательность и разумность обученія. Этимъ условіемъ въ полной мѣрѣ обладаетъ чисто русская школа, въ которой преподаваніе предметовъ происходитъ на природномъ языкѣ дѣтей. Этимъ же благомъ надо надѣлить и туземную начальную школу посредствомъ прохожденія ея элементарнаго курса на родномъ, понятномъ дѣтямъ, языкѣ. Иначе, сообщеніе дѣтямъ и распространеніе среди населенія цикла необходимыхъ знаній окажется невозможнымъ. Да, надо для кавказскихъ дѣтей сдѣлать школу такимъ же источникомъ свѣта, какимъ она является внутри Россіи для природныхъ русскихъ дѣтей. Нужно, чтобы и у насъ сердцу туземныхъ дѣтей было также тепло въ школѣ, какъ тепло сердцу русскихъ дѣтей внутри Россіи. Нужно, чтобы и наши дѣти дышали въ школѣ такою же свѣтлою духовною атмосферою, какою дышатъ русскія дѣти. Наконецъ, нужно, чтобы питомцы кавказскихъ народныхъ школъ, усвоивъ въ классѣ свѣтлыя мысли, приносили бы ихъ въ свои семьи, дѣлились-бы ими со своими домашними, радовали бы ихъ и дѣлались бы посредниками просвѣтительнаго вліянія школы на взрослое населеніе. А всего этого можно достигнуть только посредствомъ организаціи начальнаго обученія у насъ на вполнѣ понятномъ дѣтямъ языкѣ. Другого пути нѣтъ и не можетъ быть“ (стр. 31—32).

ამის შემდეგ მე ჩემს წერილში ვარკვევ თუ, როგორ უნდა ისწავლებოდეს რუსული ენა, როგორც ცალკე საგანი, ჩვენებურს სახალხო სკოლაში...

ესევე აზრი გავიმეორე სამეურნეო საზოგადოების კრებაზე, როცა ვამტყუნებდი ბ-ნ როსტომაშვილის აზრსა. აი, რასა ვკითხულობთ ამ საზოგადოების პროტოკოლში, რომელიც დაბეჭდილია 24 თებერვალს ოფიციალურს გაზეთში „Кавказское Сельское Хозяйство“: „г. Гогебашвили находилъ необходимымъ и желательнымъ 4 лѣтній курсъ въ начальной школѣ; кромѣ того необходимо все время вести обученіе на родномъ языкѣ дѣтей (стран. 458). ამ გვარადვე იყო აღნიშნული კრების შემდეგ ჩემი აზრი „Нов. Об.“-ში, „კნ. ფურც.“-ში, და სხვა გაზეთებში.

თვითონ იმ წერილში (საარაკო გარდათქმა), რომლის წინააღმდეგ გამოილაშქრა ბ-ნმა როსტომაშვილმა, აი როგორ თავდება ჩემი აზრი, წარმოთქმული სამეურნეო საზოგადოებაზე: „თუ ჩვენი სკოლის ნაყოფიერება გვენატრება, სწავლა ყველა საგნებისა ერთ-კლასიან სკოლაში უნდა დავაწყოთ დედა-ენაზედ კურსის გათავებამდე, და რუსული ენა-კი უნდა ისწავლებოდეს, როგორც ცალკე საგანი“ („ივერია 11 ივლისიდგან 1903 წ.*).

ეს უკანასკნელ ციტატა თვალ-წინ ედო, როცა თავისს მამაცურს სტატიას სწერდა. აგრეთვე კარგად უნდა ახსომებოდა წინად დასახელებული ციტატები, და მაინც წარბ-შეუხრელად გადამაბრალა შუაზე გაწყვეტა საგნების სწავლებისა ქართულს ენაზე, მეოთხე წლიდგან რუსულის ენის გამეფება.

რასა ჰგავს ესა? რად იკადრა ასეთი აშკარა ტყუილი, ასეთი ხალასი სიცრუე? ალბად იმ განზრახვით, რომ ჩემთვისაც მოეცხო ცოტაოდენი იმ პოლიტიკანობისა, რომლის ერთგული მოსამსახურე იყო სასკოლო სფეროში. და მართლა: ვინ გამოსთქვა და განახორციელა ის აზრი, რომ არითმეტიკა მხოლოდ ოცამდინ უნდა ისწავლებოდეს ქართულს ენაზედაო? ბ-ნმა ივანე პავლეს ძემ როსტომაშვილმა და სხვამ არავინ. ვინ დაბეჭდა "ივერიაში" 1895 წელსა (№№ 23 და 24) წერილი, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ ყველა საგნები, სახალხო სკოლაში პირველივე წლიდგან (დიახ, პირველი წლიდგანვე) უნდა ისწავლებოდნენ პარალელურად რუსულს ენაზედაცაო? ისევ ბ-ნმა როსტომაშვილმა და მხოლოდ მან. ვინ გამოსთქვა იმავე „ივერია“-ში ის დამღუპველი აზრი, რომ ქართულის ენის სწავლება სახალხო სკოლებში უნდა ჩამოერთვას მასწავლებელსა და მიენდოს მღვდელსაო? ამავე ვაჟბატონმა, და მხოლოდ მან.—ვინ აღუდგა წინ სამეურნეო საზოგადოების მოხსენებას წარსულს იანვარს და მასში განმარტებული სამასწავლო გეგმა სახალხო სკოლებისათვის სცნო მავნებელად რუსული ენისათვის და თხოულობდა, რომ მეორე წლიდგან სწავლება ყველა საგნებისა დაკანონებულიყო რუსულს ენაზედაც? იმავე ვაჟბატონმა, და სხვამ არავინ.—შემდეგ როცა საზოგადოების ღაღადისმა და დრტვინვამ ცამდის უწია, რა ქმნა ბ-ნმა როსტომაშვილმა? თავისს ჟურნალ „მოგზაურში“ გამოაცხადა წარბ-შეუხრელად: „სამეურნეო კრებაზე მე ის კი არა ვთქვი, რომ მეორე წლიდგან საგნები ისწავლებოდეს რუსულს ენაზედაცაო, არამედ მოვითხოვე, რომ რუსული ენის სწავლება დაწესებულიყო არა პირველი წლიდგან, როგორც ამას ითხოვდა სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარე, არამედ მეორე წლიდგანაო. ამის შესახებ, მას კრინტიც არ დაუძრავს, რასაკვირველია. იგი კრებაზედ გოდებდა რუსულის ენის შევიწროებაზედ და არა ქართულისაზედ. არაკი, ხალასი არაკი იკადრა ჩვენმა ავტორმა. და ეს არაკი გააცრუა, სავსებით გააცრუა იცით ვინა? თითონ როსტომაშვილმავე. მან ორის თვის შემდეგ, „მოგზაური“-ს მეოთხე წიგნში, მოითხოვა სწავლება პირველი წლიდგანვე არა მარტო რუსულის ენისა, არამედ რუსულის წერა-კითხვისაცა. ესევე აზრი გაიმეორა მან ახალს თავისს წიგნაკში: „Новая народная школа“. კიდევ მეტიცა ჰქმნა მან: თვით საგნების სწავლება საჭიროდ სცნო რუსულს ენაზედაც პირველი წლიდგანვე (დიახ, პირველი წლიდგანვე) მხოლოდ ეშმაკური სოუსით, რომელსაც დაარქვა კონკრეტული ანუ თვალსაჩინო მხარე. და განა შეეძლო არ მოეთხოვნა, როცა იგი მთავარ ნაკლულევანებად ჩვენის სახალხო სკოლებსა სთვლის რუსულის ენის შეუსწავლებლობას და ვალად ადებს მას უპირველესად ყოლისა „ღრმასა და ყოველ-მხრივანს შესწავლას ხსენებულის ენისას („глубокое и всестороннее изученіе рус. языка“, როგორც იგი ამბობს). ვინც ამ დანიშნულებას აჰკიდებს თავზე სახალხო პირველ დასაწყისს სკოლასა და საგნების სწავლებას რუსულს ენაზე იწყებს პირველი წლიდგანვე კონკრეტულად, იგი აუცილებლად ჰხდის ყველა საგნების სწავლე-

---

*) ამ წერილის შინაარსი ჯერ «ივერიაში» იყო დაბეჭდილი მოკლედ და სხვათა შორის ნათქვამი იყო, რომ გოგებაშვილი თხოულობს სახალხო ერთ კლასიან სკოლებში ოთხსავე წელს სწავლა ქართულად იყოსო. შემდეგ ეს წერილი დაიბეჭდა სავსებით „Новое Обозрѣніе“-ში, და ბოლოს ცალკე წიგნადაც გამოვიდა.

*) მეოთხე წლიდგან სწავლებას ერთკლასიან სკოლებში თხოულობდა მოხსენება სამეურნეო საზოგადოებისა, და მხოლოდ ამ მუხლში არ ეთანხმებოდა ჩემს პროგრამას. მე არ გაუჭირვეულდი მომხსენებელთა, რადგანაც ამას შეეძლო მოხსენების მიღება დაებრკოლებინა. ხოლო სწავლება დედა-ენაზე მთელის სამის წლის განმავლობაში ისეთს დიდს სიკეთეს შეადგენდა ახლანდელს მდგომარეობასთან შედარებით, რომ ყველა, ვინც ხელს შეუშლიდა ამ პროექტის მიღებას და განხორციელებას, მომაკვდავს ცოდოს ჩაიდენდა. და სწორედ ეს ცოდო ჩაიდინა ბ-ნმა როსტომაშვილმა თავისი პოლიტიკანური ჭირვეულობით.

მდეგ სხვა დიდთა სახელმწიფოთა მიერ შეწყნარებულს- ამავე დროს რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის წარმომადგენლებმა სტამბოლში მიიღეს დავალება, რათა იმათაც მიაქციათ ყურადღება ოსმალეთისა იმაზედ, რომ დიდნი სახელმწიფონი მტკიცედ ადგიან ამ პროგრამას; აგრეთვე იმაზედაც, რომ ოსმალეთისათვის არა ერთხელ იყო საჭიროდ მისახნევი, ეზრუნა და აჯანყების დათრგუნვის დროს მის ჯარებს არას გზით არ მიემართნათ ძალ-მომრეობისათვის. იმ სხვათა დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენლებსაც, რომელთაც ხელი მოაწერეს ბერლინის ტრაქტატზე, დაევალათ თავიანთ მთავრობათაგან მხარი დაეჭირათ ზემოხსენებულ მოთხოვნილებისათვის, რათა ოსმალეთისა და ბოლგარიისათვის ცხადი ყოფილიყო, რომ რეფორმების პროგრამის საწინააღმდეგო მოქმედებას არავინ მოსარჩლეობას არ გაუწევდა. იმედი უნდა გვქონდეს, რომ ასეთი საგულისხმო რჩევა შესმენილ იქმნება. ხოლო უკეთუ ოსმალეთი და ბულგარია ასეთ გაფრთხილებას ყურადღებას არ მიაქცევენ და აჰყვებიან საალალ-ბედო პოლიტიკას, უნდა წინდაწინვე იცოდნენ, რომ მათ მიერ განწირული მსხვერპლი უსარგებლო იქნება, რადგანაც დიდს სახელმწიფოებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, არავითარი ცვლილება status quo-სი არ შეიწყნარონ.

რომი. როგორც ხმა ისმის, რუსეთმა და ავსტრიამ იკისრეს თაოსნობა, სხვა დიდთა სახელმწიფოთა თანხმობით, ამ ზამთარშივე მოუწოდონ ევროპის კონგრესს ბალკანეთის ნახევარ კუნძულის ყოველ საქმის მოსაწესრიგებლად.

ბრიუსელი. გათავდა მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ ბელგიის 4 ოფიცერი დაინიშნოს მაკედონიის ჟანდარმერიის ხელ-ახლად მოწყობისათვის. ოფიცრებმა იკისრეს სამსახური სამის წლის განმავლობაში და ჯამაგირად მიეცემათ 20—30,000 ფრანკი.

სოფია. სტამბოლის სადიპლომატო სააგენტოს ხელმძღვანელად იქმნება დანიშნული ბრაკალოვი, რომელიც წინად ბელგრადში იყო დიპლომატიურ აგენტად.—არც ერთმა დიდმა სახელმწიფომ, მათ შორის არც რუსეთმა და არც ავსტრია-უნგრეთმა არა იცოდა-რა ოსმალეთ-ბოლგარეთის მორიგების განძრახვისა. პოლიტიკოსნი ამ განძრახვას ეჭვის თვალით უყურებენ.

ლისაბონი. თოფის წამლის საწყობის აფეთქებამ მოზამბიკში 108 კაცი იმსხვერპლა. სან-სებასტიანო სულ მინგრეულ-მონგრეულია.

სტამბოლი. ის ამბავი, ვითომც სარაფოვი მოუკლავთ, ჯერ დამტკიცებული არ არის. პორტამ აცნობა რუსეთისა და ავსტრიის ელჩებს, აჯანყებულებს გაუნადგურებიათ სამი სოფელი და სოფელ ბეტერნანში დაუწვავთ მეჩითი, სამხედრო საპყრობილე და 8 სახლი. კონსულების მოხსენებიდგანა სჩანს, რომ ტირნოვოს ოლქში აჯანყებულებმა 7 ოსმალთა სოფელი დასწვეს. ჯარმა და ბაშიბუზუკებმა 19 ბულგართა და ბერძენთა სოფელი დასწვეს და გაძარცვეს. მოკლულთა გვამთაგან ჰაერი გაიხრწნა; მინდვრის ნათესი განადგურებულია. მკვლელობა ჩვეულებრივ ამბად გადაქცეულა. მართებლობა უარჰყოფს, ვითომც მინისტრთა უკანასკნელ კრებას ბჭობა ჰქონოდეს ბულგარეთს ომი გამოვუცხადოთ თუ არაო. დადგენილია, შესდგეს ორი ახალი დივიზია მცირე აზიაში, რადგან მაკედონელები შეჯგუფდნენ კიუსტენდილის მიდამოში. ხოლო ეს ორი დივიზია იქვე დარჩება სათადარიგოდ. მართლდება, რომ რუსეთისა და ავსტრიის მტკიცე შთაგონებით ბულგარეთი მორიგების გზას დაადგა.—სერბიის ელჩმა ჩააბარა დიდს ვეზირს სერბიის მართებლობის წერილი, რომელშიაც ნათქვამია, სერბია ელოდება რუსეთ-ავსტრიის მიერ განზრახულ რეფორმების განხორციელებას და არ შეთანხმებულან ბულგარეთთან ერთგვარის მოქმედების შესახებ. ამასთანავე სერბია სთხოვს ოსმალეთის მართებლობას, მოაშოროს საზღვარს ოსმალთა ჯარი, ბაშიბუზუკები და ალბანელნი, რომლებიც მშვიდობიანობას არღვევენ. დიდმა ვეზირმა კმაყოფილებით გამოაცხადა, ბრძანება გაგზავნილია—ბაშიბუზუკები და ალბანელები უკან დაბრუნდნენო, და დაჰპირდა, დანარჩენ ჯარსაც მოვაშორებთო.

ბუდაპეშტი. დეპუტატთა პალატის დღევანდელს კრებაზე ორი ინციდენტი მოხდა: როცა მინისტრ-პრეზიდენტი გრაფი კუნი სიტყვას ამბობდა და მივიდა იმ ადგილამდე, სადაც იმპერატორისაგან მიღებულ უფლებით მხედრობის მიმართ მოჰყვა ბრძანების განმარტებას, დეპუტატმა ბარაბაშმა ამ სიტყვებით გააწყვეტინა ლაპარაკი: «ჩვენ არ ვერწმუნებით მეფესა». მთავრობის დასი მსწრაფლ წამოიმაღლა და დაიწყო ყვირილი: „საზიზღარო, გამცემელო! შეიქმნა საშინელი ხმაურობა. როცა ყოველივე დამშვიდდა გრაფმა კუნმა განაგრძო სიტყვა და დაამთავრა, მით, რომ სთხოვა პალატას გადავიდეთ კრებ მთავრობის შედგენამდეო. პალატამ შეიწყნარა მისივე წინადადება, რომ ბარაბაშს საყვედური გამოეცხადოს და ეს ამბავი ოქმში ჩაიწეროს.

ვენა. აჯანყებულთა ბულგარელმა მეთაურმა შილიმანოვმა, როცა ჩვენება ჩამოართვეს იდლიზ-კიოსკში, სთქვა, რომ აჯანყებულთა მეთაურებმა გადასწყვიტეს საფეთქონ დინამიტით ყაზარმები და ჯაბახანა ყირხ-ქილისისა, ზოგიერთი საკონსულო ადრიანოპოლში, ხიდი მორიცისა, ყაზარმები ჯერსისა, მუსტაფა-ფაშისა და რკინის გზა.

ფილიპოპოლი. საზღვრის მახლობლად არა სცხრება სისხლის ღვრა და ბრძოლა ახალ ჯუფთთა და ოსმალთა შორის.—შარმულსა და სამბოლიდან მოდის ამბავი ოსმალთა მტარვალობისა. კრატოვოსა და პალანკას შორისაც სისხლის ღვრაა. მაკედონელთა შორის ამტკიცებენ, რომ სარაფოვის სიკვდილის ამბავი არა მართლდებაო.

სოფია. მცოდნეთა შორის ამოწმებენ, რომ მართალია ოსმალეთმა წინადადება მისცა ბულგარეთის მთავრობას მაკედონიის საქმე ვრცელის თვითმმართველობის შემოღებით გადავსწყვიტოთო. მთავრობამ თანაგრძნობით მიიღო ეს რჩევა და სთხოვა ოსმალეთს, დაამტკიცე შენი გულწრფელობა და შეუდექ დაპირების აღსრულებასაო.

რუშჩუკი. ოსმალეთის კომისარმა აუწყა მინისტრ-პრეზიდენტს, რომ ხონთქარმა ხელი მოაწერა ირადეს, რათა დაინიშნოს კომისია ბოლგართა და ოსმალთაგან მაკედონიის სოფლებში თვითმართველობის რეფორმის შემოსაღებად.

ბას უცხო ენაზე მეორე წლიდგან არაკონკრეტულადაც და გაუქმებას დედა-ენისას. რუსული ენა ძლიერ მჭლე არის ჩვენს სახალხო სკოლებშიაო, და უთუოდ უნდა ძალზე გავასუქოთო. მაგრამ თუ ამ გასუქებას გამოვუდექით, ჩვენ მას ვერ მოვეწევით, და დედა-ენას-კი სულს ამოვართმევთ. ფარაონის მჭლე ძროხებმა მსუქანი ძროხები სავსებით შესთქვლიფეს; მაგრამ თვითონ-კი იოტის ოდენა სიმსუქნე ვერ მიიკრეს. აქაც ასე მოხდება: მჭლე რუსული ენა სახალხო სკოლაში ქართულს ენას და ცოდნის შეძენას შესთქვლიფავს, მაგრამ თვითონ-კი ისევ ისე მჭლედ დარჩება, რადგანაც სახალხო სკოლა უძლურია მსუქნად შეასწავლოს იგი.

„თქვენი შეხედულობის დღენი დათვლილნი არიანო, გვეუბნება ბ-ნი როსტომაშვილი. რაში მდგომარეობს ჩვენი შეხედულობა სახალხო სკოლის შესახებ? პირველად, სწავლება ყველა საგნებისა დედა-ენაზე პირველ-დასაწყისს სკოლებში ოთხის წლის განმავლობაში, თავიდგან ბოლომდინ, 2) სწავლება დედა-ენისა ყოველ დღე ოთხივე წლის განმავლობაში, 3) სწავლება რუსული ენისა, როგორც ცალკე საგნისა, აგრეთვე ყოველ დღე; 4) სწავლება ორ-კლასიანს სკოლებში საგნებისა რუსულს ენაზე მხოლოდ მეხუთე წლიდან; 5) სწავლება დედა-ენისა და რუსული ენისა ყოველ დღე კურსის გათავებამდე; 6) სწავლება საღმრთო სჯულისა ორ-კლასიანს სკოლებშიც მხოლოდ დედა-ენაზე; 7) სწავლება პრაქტიკულად ხელოსნობისა და მეურნეობისა მხოლოდ ორ-კლასიანს სკოლებში... აი ჩემი პროგრამა, რომელიც არა ერთხელ განმიმარტნია და უკანასკნელად განვმარტე ჩემს სტატიაში: „**Какъ улучшить Кавказскую народную школу**“. ჩვენ ღრმად ვიყავით და ვართ დარწმუნებულნი, რომ თუ სახალხო სკოლა ჩვენში ამ გეგმაზე მოეწყობა და იმრავლებს, იგი მოახდენს უფრო კიდევ დიდს რადიკალურს ცვლილებას, ვიდრე მოახდინა სახალხო სკოლამ შოტლანდიაში მეთვრამეტე საუკუნეში.

თქვენი გეგმა როგორილაა? იგი აუცილებლად ჰხდის მეორე წლიდგან გამეფებას გაუგებარის ენისას კონკრეტულად და არა-კონკრეტულად, გაუქმებას დედა-ენისას და ცოდნის შეუთვისებლობას. გაუგებარი ენა შესჭამს სავსებით მშობლიურს ენასაც და ცოდნასაც და თვითონ მაინც გაუგებარი დარჩება და ჩვენს ხალხში გამეფდება იმისთანა გონებრივი სიმშილი, რომელიც ეგვიპტის სიმილზე ბევრით უსაშინელესი იქმნება. თქვენ, ბატონო, პირადად, რასაკვირველია, ეს არ გინდათ; მაგრამ საქმეს-კი სწორედ ამ გზაზედ აყენებთ.

ერთი შენიშვნაც და გავათავებ. თქვენ, ბ-ნო როსტომაშვილო, ქართულს ენაზე, ქართულ საზოგადოების წინაშე დამაბრალეთ სრული უსამართლობით ისა, რომ მე ვითომ შუაზე ვწყვეტდე დედა-ენაზე საგნების სწავლებასა. თქვენს რუსულს წიგნაკში-კი—ამას-კი არ მაბრალებთ, არამედ სრულიად სხვასა: გოგებაშვილი სახალხო სკოლაში რუსულს ენას ასწავლის მხოლოდ როგორც კერძო საგანს და ისეთ ვიწრო კალაპოტში ათავსებს, რომ შეუძლებლად ხდის ამ ენის შესწავლასაო. (**Этимъ далеко не уидешь и дѣтей туземцевъ русскому языку не научишь**)... ქართველების წინაშე მწამებს ორგულობას ქართულის ენის შესახებ როსტომაშვილის სახელით, ხოლო რუსებსა და მთავრობის წინაშე ორგულობას რუსულის ენის შესახებ როსტომოვის სახელით. პატიოსნებაც ასეთი უნდა!

მკითხველი ცხადად ჰხედავს, რომ ბ-ნს როსტომაშვილთან ბაასი სწორედ წყლის ნაყვას უდრის და ამიტომ იძულებულნი ვართ სრულად მოვსპოთ მასთან ლაპარაკი.

იაკობ გოგებაშვილი.

პეტერბურგის ბირჟა 9 სეკდემბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,55
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	37,20
ლონდონში ჩეკები	94,40
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	5—6$\frac{1}{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	99$\frac{1}{2}$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95$\frac{1}{8}$ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგებ. ბილ. 1864	443 წვ. გაყ
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	336$\frac{3}{4}$ წვ. გაყიდ
5% გირავნ. ფურც. სასახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	287$\frac{1}{2}$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4$\frac{1}{2}$% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4% ტფილ. საადგ. მამ. ბანკისა გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	92$\frac{1}{2}$ წვ. გაყ.
5% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ.	9400 გაყ.
აქციები. „ ., ,,	465 წვ. გაყ.
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	385
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	190 წვ. გაყ.

გამოსადეგი ცნობები.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ. 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74_{75} ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუაღამის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № $7/_3$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 9 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № ღამის 11 ს. 22 წ., ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 ს. 21 წ., ჩამოდის ტფილისს დილის 11 ს. 8 წ., 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდის ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

გ. ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 51 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ., ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 23 წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 1 ს. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს, 23 წ.

ბათუმისაკენ; ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 8 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

ნიხრი ხორცისა.

საქონლის ხორცი:

1 ხარისხისა გირვანქა	11 კ.
2 „	8 კ.
3 „	6 კ.
სუკი	15 კ.
ცხვრის ხორცი	10 კ.
კამეჩისა	7 კ.
ღორისა	
1 ხარისხის (საკატლეტე)	11 კ.
2 „ (ბარძაყი)	10 კ.
3 „ (დანარჩენი ნაწილი, ტყავებული)	8 კ.

ნიხრი პურისა.

თორნეში გამომცხვარი

1 ხარისხისა	5 კ.
2 „	3$\frac{1}{2}$
3 „	3 კ.

მიმოსვლა ეტლებისა კავკასიის გზით.

კარეტა ვადიანი გადის ტფილისიდგან კავკავს 7-სა და 8 საათზედ დილით, ღამე ჩერდება მლეთში და კავკავს მიდის საღამოს 7 საათზე.

გარდასახადი:

1 კლასით	15 მან.
2 „	10 „
3 „	5 „

ლინეიკა გადის ტფილისიდგან ნაშუადღევის 3 საათზე, ღამე არსადა ჩერდება.

გარდასახადი:

1 ადგილისა	6 მ. 80 კ.
2 „	4 „ 80 „

ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა

ქ. ტფილისში.

საათობით	60 კ.
ერთ გზობით	30 „
ქალაქიდგან ავლაბარში	40 „
ნავთლუღში	50 „
ავლაბრიდგან ნავთლუღს.	30 „
ნათლუღიდგან ქალაქს	40 „
ქალაქიდან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე	50 „
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	80 „
ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთეიდის ბაღში და დიდუბეს	40
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	1 მ.
ქალაქიდგან ორთაჭალის, საპყრობილემდე	80 კ. „
კრწანისის ბაღამდე	80 „
ნათლუღიდან რკინის გზის სადგურსა და მუშთეიდის ბაღამდე	80 „
რკინის გზის სადგურიდან ქალაქსა და ავლაბარს	60 კ.
იქიდამ ნათლუღამდე	1—20

იქ თუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 კ.

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1-ლი საათამდე; შემდეგ-კი 1 ოკდომბრიდგან 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოკდომბამრდე 30 კ.

განცხადებანი

ყველა
ადვილად და პატიოსნურად იშოვოს თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი ადრესი! U. 111, an das Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44.
(50—16)

საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ვისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს— ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

ხეხილის ნერგები

საზღვარ გარეთისა და ადგილობრივი, საუკეთესო ხარისხისა, იყიდება ზომიერ ფასად **ფარსადან იაკ. აგსარქისოვის** მამულში. ადრესი: უბრალო წერილებისათვის—**სკრა კავ. რკ.გზის სადგური.** ხოლო ფულისა და „ზაკაზნოი“ წერილებისათვის: **ქ. გორში ფარ. იაკ. აგსარქისოვს.**

კატალოგები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ. (11—195—4)

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიკური გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

გამოვიდა და იყიდება
კბილები
და მათი მოვლა-შენახვა

სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს დართული აქვს 7 ნახატი, შეიცავს 124 გვერდს და ღირს 40 კაპ.

იყიდება: ქართველთა წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, მთარგმნელთან (ელისაბედის ქ. № 38) და ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. (15—11)

მოკლე დროში დამთავრდება და გამოვა გასაყიდათ ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“
შოთა რუსთაველის
ვეფხის ტყაოსანი
სურათებით, წინასიტყვაობითა და ვრცელის ლექსიკონით.

წიგნში მოთავსებული იქნება აგრეთვე ოთხი სხვა-და-სხვა სურათი ავტორისა. წიგნი იბეჭდება კარგს ქაღალდზე და ეღირება შედარებით იაფად.

(5—უ—5)

გამოვიდა და იყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.
ქაჯანა
მოთხრობა ნ. ლომაურ.ისა ფასი 5 კაპ.

2.
ალი
მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распростр. грамотности.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 2 საათზე და იკეტება 6 საათ.ზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუზულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 12 сентября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით-რედაქტორი **ვ. ყიფშიძე**, გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.